ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ხევძმარის ქუჩა #31 მიმდებარედ (ს.კ. 01.11.17.001.238) დაპროექტებული მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 1 9

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, ხევძმარის ქუჩა #31 მიმდებარედ (ს.კ. 01.11.17.001.238)

ობიექტის დასახელება: მრავალფუნქციური შენობა

პროექტის ავტორი: ა. ტყეშელაშვილი

ექსპერტი: მიხეილ ბუჯიაშვილი

წარმოდგენილი მასალა: არქიტექტურული პროექტი („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტი N57 დადგენილების 47-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით).

- <u>გაითვალისწინეთ:</u>

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის ან/და მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

- დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.

- საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- კონსტრუქციული, სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო-კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნათა დაცვით.

- უსაფრთხოების ზომები მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს წესების მე-20 თავის შესაბამისად.

გამოსაკვლევი ნაწილები:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

1) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

2) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

6) მისაწვდომობის შეფასებას;

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

8) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

11) ლიფტებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

12) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

13) ატრიუმისადმი მოთხოვნების შეფასებას;

14) ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასებას.

გამოკვლევა:

1. **დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:**

- პროექტში გათვალისწინებული დაკავებულობები კლასიფიცირებულია „წესების“ მესამე თავის მიხედვით და აკმაყოფილებს 302-ე ქვეთავის ყველა მოთხოვნას. პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

<u>მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2</u>

- -3.00 ნიშნულზე განთავსებული შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი.
  აღნიშნული შეესაბამება 311. 3 ქვეთავს.

<u>დამხმარე ჯგუფი დს</u>

- -3.00 ნიშნულზე განთავსებული სახანძრო ტუმბოებისა და ავზის ოთახი.
  აღნიშნული შეესაბამება 312.1 ქვეთავს.

<u>საქმიანი ჯგუფი სქ</u>

- +0.00 ნიშნულზე განთავსებული კაფე (26 დამკავებელზე)
- +3.50 ნიშნულზე განთავსებული ოფისები.
  აღნიშნული შეესაბამება 303.1.2 და 304.1 ქვეთავს.

<u>სავაჭრო ჯგუფი სვ</u>

- +0.00 ნიშნულზე განთავსებული სავაჭრო სივრცე.

აღნიშნული შეესაბამება 309.1 ქვეთავს.

- შენობაში არსებული თითოეული დაკავებულობისთვის სწორედ არის განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთვა ანუ 1004.1.2 ცხრილის მიხედვით არის არჩეული სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ყოველი სივრცის იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე, კერძოდ:

  - -3.00 ნიშნულზე განთავსებულ შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟს **(სწ-2)** მინიჭებული აქვს გარაჟების სივრცის სტატუსი და შემდგომ, იატაკის მთლიანი ფართობი გაყოფილია 18.6-ზე.

  - ამავე სართულზე განთავსებულ სახანძრო ტუმბოებისა და ავზის ოთახს **(დს)** მინიჭებული აქვს დამხმარე სივრცის სტატუსი და შემდგომ, იატაკის მთლიანი ფართობი გაყოფილია 27.9-ზე.

  - +0.00 ნიშნულზე განთავსებულ კაფეს **(სქ),** მინიჭებული თავშეყრის სივრცის (არაკონცენტრირებული მაგიდები და სკამები) სტატუსი და სუფთა ფართობი გაყოფილია 1.4-ზე.

  - +0.00 ნიშნულზე განთავსებულ სავაჭრო დარბაზს (**სვ**) მინიჭებული აქვს სავაჭრო-კომერციული სივრცის სტატუსი და მთლიანი ფართობი გაყოფილია 2.8-ზე.

  - +3.50 ნიშნულზე განთავსებულ ოფისებს (სქ) მინიჭებული აქვს საქმიანობის წარმოების, ბიზნეს ფართობების სივრცის სტატუსი და მთლიანი ფართობი გაყოფილია 9.3-ზე.

***შენიშვნა №1**: <u>დაკავებულობის დატვირთვა გამოანგარიშებულია მთელი რიცხვის სიზუსტით.</u>*
***შენიშვნა №2**: <u>მთლიანი და სუფთა ფართობები ხშირად ერთმანეთს ემთხვევა (იატაკის მთლიანი და სუფთა ფართობის განმარტება იხ. „წესების“ 202 ქვეთავში).</u>*

დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- შენობის კონსტრუქციის ტიპად განსაზღვრულია **II-B** ტიპი, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სართულიანობის, სიმაღლისა და ფართობის მიხედვით და აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის კონსტრუქციული ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში)

კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- საპროექტო ობიექტის სიმაღლე და ფართობი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციის ტიპთან (**II-B**) და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს. დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ სცდება 503 ცხრილში სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვარს.

- შენობის სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია სწორად და შეადგენს 9.60 მეტრს.

- შენობაში გათვალისწინებულია სწ-2, დს, სვ და სქ დაკავებულობები:

- აქედან:

- სწ-2 და დს ჯგუფის დაკავებულობები გათვალისწინებულია მიწის დონის ქვედა სართულზე.

- სვ დაკავებულობა გათვალისწინებულია პირველ სართულზე.
- სქ დაჯავებულობა გათვალისწინებულია პირველ და მეორე სართულებზე.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

- საპროექტო შენობას გააჩნია 2 მიწის დონის ზედა და 1 მიწის დონის ქვედა სართული.
- შენობის მიწის დონისა ქვედა სართულს, სადაც განთავსებულია შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი **(სწ-2),** მოეთხოვება ორი გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია 2 შემოზღუდული გზა-კიბის სახით.
- მიწის დონეზე განთავსებულ სავაჭრო დარბაზსა და კაფეს სივრცეს, დაკავებულობიდან გამომდინარე მოეთხოვება 2 გასასვლელი, თუმცა პროექტით გათვალისწინებულია 3 გასასვლელი გზა-კარის სახით. 2 გასასვლელი გზა-კარი წარმოადგენს თარაზულად მოძრავ გორგოლაჭიან კარებს, რაც დასაშვებია 1008.1.2 ქვეთავის #6 გამონაკლისის თანახმად, ხოლო მერსამე გასასვლელი გზა-კარი წარმოადგენს ერთფრთიან კარს, რომელიც იღება გასასვლელის მიმართულებით. აუცილებელი გასასვლელის ან გასასვლელთან მისადგომის გზა-კარები ერთმანეთისგან დაშორებულია სართულის ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის ნახევარზე მეტი მანძილით, რაც აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.
- მეორე სართულზე განთავსებულ საოფისე სივრცეს, დაკავებულობის დატვირთვისა და გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის გათვალისწინებით საკმარისია ჰქონდეს 1 გასასვლელი რაც პროექტით გათვალისწინებულია შიგა გასასვლელი, შემოზღუდული გზა-კიბის სახით, რაც აკმაყოფილებს 1021.2(2) ქვეთავის მოთხოვნას.

- შენობიდან საზოგადოებრივ სივრცეში (და პირიქით) მოხვედრა შესაძლებელია დაუბრკოლებლად, საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

<u>გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- შენობას ემსახურება ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე. აღნიშნული გზა-კიბეების შემომზღუდავი კედლების ცეცლმედეგობა უტოლდება მინიმუმ 1 საათს, რაც აკმაყოფილებს 1022.2 პუნქტის მოთხოვნას.
- სართულიდან გასასვლელი კარის ღიობები ერთმანეთისგან გამიჯნულია სართულის ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის ერთმესამედზე მეტი მანძილით, რაც აკმაყოფილებს 1015.2.1 პუნქტის და მისი მე-2 გამონაკლისის მოთხოვნებს.
- შენობაში გათვალისწინებული კიბეებიდან, ერთ-ერთი კიბე შენობიდან გამოსასვლელს უკავშირდება გზა-დერეფნის საშუალებით, ხოლო მეორე კიბე, ისეა დაგეგმარებული, რომ კიბის შემომზღუდავიდან გარეთ გასასვლელი კარი ადვილად შესამჩნევი და აღქმადია და გასასვლელამდე სავალი ბილიკი ავტოსაშხეფი სისტემით არის აღჭურვილი, რაც აკმაყოფილებს 1027.1 პუნქტის მოთხოვნებს.
- გზა-დერეფნების სიგანე აკმაყოფილებს 1023.2-ე პუნქტის მოთხოვნას.
- გზა-დერეფნის ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება მინიმუმ 1 საათს, რაც აკმაყოფილებს 1023.3-ე პუნქტის მოთხოვნას.
- გზა-კიბეების მინიმალური სიგანე შეადგენს 1.21 მ-ს და აკმაყოფილებს 1009.4 ქვეთავის მოთხოვნას.
- კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 პუნქტის მოთხოვნებს.

- კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013-ე პუნქტის მოთხოვნებს.
- კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012-ე პუნქტის მოთხოვნებს.
- გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკები აკმაყოფილებს 1014.3 ცხრილის მოთხოვნებს.
- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილებს 1016.2-ე ცხრილით გათვალისწინებულ ნორმებს.
- ყველა დაკავებული სივრცის გასასვლელის და გასასვლელთან მისადგომის გზა-კარის რაოდენობა და მდებარეობა შეესაბამება 1015-ე ქვეთავს.

შენიშვნა:

- *სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციები და საევაკუაციო გეგმები უნდა არსებობდეს ყველა დაკავებულობისა და შენობისთვის.*
- *გასასვლელი საშუალებების სავალი ზედაპირები არ უნდა იყოს სრიალა და საიმედოდ უნდა იყოს დამაგრებული.*
- *ყველა სავალი ზედაპირის, მათ შორის, ბილიკების, დერეფნების, გასავლელებისა და გზა-დერეფნებისთვის ჭერის მილიმალური სიმაღლე არ უნდა შემცირდეს 2.05მ-ზე მეტად, ხოლო სიმაღლეში გამოშვერილი დეტალები არ უნდა ამცირებდეს გასასვლელი საშუალებების ჭერის ფართობს 50%-ზე მეტად.*
- *გასასვლელი საშუალებები შენობიდან გამოსასვლელიანად ყოველთვის უნდა იყოს განათებული, როდესაც შენობის სივრცე (რომელსაც ეს გასასვლელი საშუალებები ემსახურება) დაკავებულია.*
- *გასასვლელების, დერეფნების, შიგა გასასვლელის გზა-კიბეების განათებულობას დენით შენობა-ნაგებობის ელექტრომომარაგება უნდა უზრუნველყოფდეს. დენის გათიშვისას, ზემოაღნიშნული გასასვლელის კომპონენტები სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს.*
- *შიგა გასასვლელის გზა-კიბეების განიავების სისტემები დამოუკიდებელი უნდა იყოს შენობის განიავების სხვა სისტემებისგან.*
- *დაუშვებელია, შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს კვეთდეს გაყვანილობები, გარდა აუცილებელი გაყვანილობებისა, რომლებიც სჭირდება დამოუკიდებელ განიავებას ან წნევის წარმომქმნელებს, საშხეფის მილსადენებს, სახანძრო განყოფილების საკომუნიკაციო სისტემის ელექტროგაყვანილობისათვის განკუთვნილ არხებსა და ელექტროგაყვანილობის არხებს, რომლებიც ემსახურება შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს და ბოლოვდება 0,01 მ2 ფართობის ფოლადის კოლოფში.*
- *შიგა გასასვლელის გზა-კიბეების განიავებელი მოწყობილობა და არხები უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან ერთ-ერთს:*
  - *ასეთი მოწყობილობა და არხები უნდა განთავსდეს შენობის გარეთ და პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს შახტებისათვის აუცილებელი კონსტრუქციით შემოზღუდული არხების საშუალებით;*
  - *თუ ასეთი მოწყობილობა და არხები განთავსებულია შიგა გასასვლელის გზა-კიბეებზე, ჰაერი უნდა შემოდიოდეს პირდაპირ გარედან და გადიოდეს პირდაპირ გარეთ, ან ჰაერი უნდა გადიოდეს არხებში, რომლებიც შემოზღუდულია შახტებისათვის აუცილებელი კონსტრუქციით;*
  - *შენობაში განთავსებისას ასეთი მოწყობილობა და არხები შენობის დანარჩენი ნაწილისგან, მათ შორის, სხვა მექანიკური მოწყობილობებისგან, უნდა გაიმიჯნოს შახტებისათვის აუცილებელი კონსტრუქციით.*
- *დასაშვებია დერეფნის ჭერსა და იატაკს ან ჭერსა და მის ზემოთ არსებულ სახურავს შორის სივრცის გამოყენება რეცირკულაციური ჰაერის კამერად, თუ დაცულია 1018.5.1 პუნქტში ჩამოთვლილი ერთი ან მეტი პირობა.*
- *არცერთი კარის სიმაღლე არ უნდა იყოს 2.05 მეტრზე ნაკლები.*
- *არცერთი კარის სუფთა სიგანე არ უნდა იყოს 0.82 მეტრზე ნაკლები.*

- *ყველა გზა-კიბე უნდა აიგოს შენობის კონსტრუქციის ტიპისთვის ნებადართული შესაბამისი მასალებით. ეს არ ეხება ხის სახელურებს.*
- *გასასვლელებსა და გასასვლელთან მისადგომის კარებს უნდა ჰქონდეს გასასვლელის აღმნიშვნელი ნიშანი, რომელიც ადვილად დასანახია გასასვლელისკენ სავალი ნებისმიერი მიმართულებით. გასასვლელისკენ სავალი ბილიკი და გასასვლელების საზღვრებში მდებარე ბილიკი აღნიშნული უნდა იყოს ადვილად დასანახი გასავლელების ნიშნებით, რომლებიც გარკვევით მიუთითებს გასასვლელისკენ სავალ ბილიკზე იმ შემთხვევებში, როდესაც გასასვლელი ან გასასვლელისკენ სავალი ბილიკი შენობის დამკავებელთა ხედვის არეში არ არის. გასასვლელების საზღვრებში მდებარე შუალედური გასასვლელი საშუალებების კარებზე უნდა განთავსდეს გასასვლელის ნიშნები. გასასვლელის ნიშანი ისე უნდა განთავსდეს, რომ ხედვის არეში მდებარე უახლოესი ნიშნიდან გასასვლელთან მისადგომის დერეფნის ან გასასვლელის გზა-დერეფნის არცერთი წერტილი არ აღმოჩნდეს 30 მ-ზე ან ნიშნის ხილვადობის განსაზღვრულ მანძილზე შორს (რომელიც ნაკლები იქნება).*
- *გასასვლელის ნიშნები ყოველთვის განათებული უნდა იყოს. დენის ძირითადი წყაროს გათიშვისას გასასვლელის ნიშნების განათება რომ, სულ მცირე, 90 წუთის განმავლობაში შენარჩუნდეს, ნიშნის გამანათებელი საშუალებები უნდა მიეერთდეს სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემას, რომელიც მარაგდება აკუმულატორებიდან, მოწყობილობიდან ან ადგილობრივი გენერატორიდან.*
- *გასასვლელის ნიშნის წინაპირის გარე წყაროდან განათების ინტენსივობა უნდა შეადგენდეს, არანაკლებ, 54 ლუქსს.*

<u>გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

6. მისაწვდომობის შეფასება:

- მიწის ნაკვეთზე უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზი საზოგადოებრივი ქუჩიდან და ტროტუარებიდან შენობის მისაწვდომ შესასვლელამდე, რაც შეესაბამება 1104.1 პუნქტის მოთხოვნას.

- მისაწვდომი სვლაგეზი მიდის შენობის ყველა ნაწილთან, აღნიშნული შეესაბამება 1104.3 პუნქტის მოთხოვნას.

- მისაწვდომი სვლაგეზები ემთხვევა საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს, თანახმად 1104.5 პუნქტისა.

- შენობაში სამი მთავარი შესასვლელია. სამივე შესასვლელი მოწყობილია მიწის დონეზე და მისაწვდომია შშმ პირთათვის. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1105.1 პუნქტის მოთხოვნას.

- -3.30 ნიშნულზე განთავსებული ავტოსადგომიდან შენობაში შესვლა ხდება ლიფტის საშუალებით, რაც აკმაყოფილებს 1105.1.1 პუნქტის მოთხოვნას.

- ავტოსადგომი უზრუნველყოფილია 1106.1 ცხრილის შესაბამისად განსაზღვრული მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეებით.

- პირველ სართულზე განთავსებულიამისაწვდომი ტუალეტი, რაც შეესაბამება 1109.2 პუნქტის მოთხოვნას.
- მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე სამგზავრო ლიფტი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1109.7 პუნქტის მოთხოვნას.
- საპროექტო შენობას ემსახურება 2 (ორი) მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, თანახმად 1007.1 პუნქტისა.
- თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ გზა-კიბეებს, რაც შეესაბამება 1007.2 პუნქტის მოთხოვნას.
- მისაწვდომი გზა-კიბეების სიგანე სახელურებს შორის არ არის სავალდებულო იყოს დაცული 1.20 მეტრის სახით, რაც დასაშვებია 1007.3 პუნქტის 1-ლი გამონაკლისის შესაბამისად.
- შენობაში არ არის მოწყობილი თავშესაფრის ფართობები, თუმცა აღნიშნული დასაშვებია 1007.3 პუნქტის მე-2 გამონაკლისის შესაბამისად.
- +3.50 ნიშნულზე განთავსებული საოფისე სივრცის ფართობი არ აღემატება 280 კვ.მ-ს და არ საჭიროებს მისაწვდომობას 1104.4 პუნქტის თანახმად.

შენიშვნა:

- *ყოველ მისაწვდომ ტუალეტის ოთახში უნდა იყოს თითოეული ტიპის, სულ მცირე, ერთი მისაწვდომი ხელსაწყო, ელემენტი, მაკონტროლებელი ან გამანაწილებელი.*
- *სადაც სალაროების რიგები ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას, სალაროს, სულ მცირე, ერთი მისაწვდომი რიგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს თითო ფუნქციისთვის. სადაც სალაროების რიგები განაწილებულია მთელ შენობაში ან ნაგებობაში, სალაროების მისაწვდომი რიგები ასევე უნდა გადანაწილდეს. ტრანსპორტის საკონტროლო აპარატურა, დამცავი მოწყობილობები და ტურნიკეტები, რომლებიც მდებარეობს სალაროების მისაწვდომ რიგებში ან ზოლებში, უნდა იყოს მისაწვდომი.*
- *მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მისაწვდომ ელემენტებთან უნდა განთავსდეს 1110 ქვეთავის შესაბამისად.*

<u>შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- წარმოდგენილი პროექტის მიხედვით შენობის ყველა გარე კედელი არის ბეტონის ბლოკის ან გაძლიერებული ბეტონის, რომლებსაც 721.1(1) და 721.1(2) ცხრილების თანახმად, გააჩნია 2

საათზე მეტი ცეცხლმედეგობა. შენობის კონსტრუქციის ტიპის (**II-B**) და ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის გათვალისწინებით, (ცხრილი 602), დაკმაყოფილებულია გარე კედლებისადმი ცეცხლმედეგობის მოთხოვნები.

- რაც შეეხება ამ კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობს, დაცულია 705.8 ცხრილის მიხედვით განსაზღვრული ღიობების პროცენტულობა.
- გარე კედლებს გააჩნია პარაპეტი, რომელიც 705.11 ქვეთავის მოთხოვნათა შესაბამისად არის მოწყობილი.
- პროექტზე თანდართული ფასადების დეტალური ნახაზებიდან ირკვევა, რომ გარე საკედლე მასალად გამოყენებული ბლოკის წყობა.
- ფასადები ილესება და იღებება სხვადასხვა ფერის საღებავით.
- წესების 1403.2-ე პუნქტის გამონაკლისის მიხედვით, ატმოსფერული ზემოქმედებისგან დაცვის მიზნით მოწყობილი დამცავი საფარი არ მოეთხოვება ბეტონით ან წყობით აგებულ კედლებს.
- ცენტრალურ ფასადზე დეკორის მიზნით გამოყენებული იქნება ლითონის ფურცლები. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ფურცლები არ წარმოადგენს ქარხნული წარმოების პანელს, რომლის პლასტმასის გული ორივე მხრიდან ლითონის გარსაცმით იქნება დაფარული, ასეთი სახის მასალაზე არ ვრცელდება ლითონშემცველი მასალებისადმი განსაზღვრული მოთხოვნები.

შენიშვნა:

- *1405.4 პუნქტის შესაბამისად, ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.*

<u>გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი შესაბამისობაშია 601, 602 და 705.8 ცხრილებთან და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

8. სახურავის ანაწყობების შეფასება:

- სახურავი ბრტყელია, მცირედი 2 %-იანი დახრით.
- სახურავზედა ნაგებობების (კიბის, ლიფტის, შახტების და სხვა ნაწილების) ფართობი არ აღემატება საყრდენი სახურავის ფართობის ერთ მესამედს, რაც აკმაყოფილებს 1509.2.2-ე პუნქტის მოთხოვნას.
- სახურავზე მოწყობილია პარაპეტი. პარაპეტის სიმაღლე აკმაყოფილებს 705.11.1-ე პუნქტის მოთხოვნას.
- სახურავის ბურულის მასალად გათვალისწინებულია ტოლი.
- სახურავზე მოწყობილია წყლის გამშვები ხვრელები და წყლის გადამყვანი მილები. წყლის გამშვები ხვრელის ზომა აკმაყოფილებს 1503.4.2-ე პუნქტის მოთხოვნას.

შენიშვნა:

- *601-ე ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (II-B ტიპი) გამომდინარე, სახურავის კოსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი.*
- *სახურავის ბურული ხანძრის კლასიფიკაცია კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით უნდა განეკუთვნოს C კლასს, თანახმად ცხრილი 1505.1ა (C კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს სუსტი ცეცხლის ზემოქმედებას).*
- *პარაპეტებს ცეცხლმედეგობის ისეთივე ხარისხი უნდა ჰქონდეს, როგორიც აუცილებელია საყრდენი კედლისათვის.*
- *პარაპეტის კედლები სათანადოდ უნდა დაიფაროს არაწვადი, წყალგაუმტარი მასალებით.*
- *ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში/ ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი და, არანაკლებ, 0,5 მმ სისქისა.*
- *შენობების გარეთ მოთავსებული წყალარინი ღარები და მილები არაწვადი მასალით ან, სულ მცირე, 40 ზომის პლასტმასის მილებით უნდა აიგოს.*

<u>სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- საპროექტო შენობის დაკავებულობები, კერძოდ საქმიანი ჯგუფი **(სქ)** და სავაჭრო ჯგუფი **(სვ),** 508.4 ცხრილის თანახმად არ საჭიროებს ერთმანეთისგან გამიჯვნას.
- სახანძრო ტუმბოების ოთახი (**დს**), რომელიც განთავსებულია მიწისქვეშა სართულზე (-3.00 ნიშნულზე) 913.2.1 ქვეთავის თანახმად, ავტოსაშხეფი სისტემის გათვალისწინებით, ყველა სხვა ფართობისგან უნდა გაიმიჯნოს 1 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რაც პროექტში გათვალისწინებულია. ტუმბოების ოთახის კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 60 წთ.
- რაც შეესაბამება 716.5 ცხრილის მოთხოვნებს; საჰაერო და საკომუნიკაციო შახტები შემოზღუდულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შემომზღუდავებით, რაც აკმაყოფილებს 713.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო შენობა მიწის დონიდან არ ცდება ორ სართულს, ღიობების შვეული გამიჯვნა არ არის სავალდებულო, თანახმად 705.8.5 პუნქტის 1-ლი გამონაკლისისა.
- ვინაიდან ლიფტის შახტა აკავშირებს 2 სართულს და ამავდროულად მთელი შენობა აღჭურვილი იქნება ავტოსაშხეფი სისტემით, თანახმად 713.14.1 პუნქტისა და ამავე პუნქტის მე-4 გამონაკლისისა, ლიფტებს არ მოეთხოვება ფოიე. თუმცა ფოიე მეტი უსაფრთხოებისათვის მაინც გათვალისწინებულია შემოზღუდული ავტოსადგომის დონეზე.
- ლიფტის ფოიეს გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ტიხარს, თანახმად 708.1 პუნქტისა და ასეთ ტიხარში მოწყობილი კარის ცეცხლმედეგობა უტოლდება 20 წუთს (თავის მხრივ ლიფტის ფოიეს შემომზღუდავში დამონტაჟებული კარის ანაწყობები NFPA 252-ის ან UL 10C-ის შესაბამისად უნდა შემოწმდეს ნაკადის ზემოქმედებით შემოწმების გარეშე). გასათვალისწინებელია, რომ ლიფტის ფოიეს შემომზღუდავში გამავალი არხები და ჰაერცვლის ღიობები 717.5.4.1 ქვეთავის შესაბამისად დაცული.

- შენიშვნა: *არხებისა და საჰაერო ღიობების სისტემების პროექტის დამუშავებისას და შემდგომ მშენებლობისას, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს 717-ე ქვეთავის მოთხოვნები, რომელიც არეგულირებს არხებისა და საჰაერო ღიობების დამცავებს დაცულ ანაწყობებში.*

<u>ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას:

- ავტოსაშხეფი სისტემა დამონტაჟებულია მთელ შენობაში, რაც აკმაყოფილებს 404.3, 903.2.7 და 903.2.10 პუნქტების მოთხოვნას.

შენიშვნა:

- *საშხეფები ყველგან NFPA 13-ის მიხედვით უნდა დაგეგმარდეს და დამონტაჟდეს, თანახმად 903.3.1.1 პუნქტისა. თუმცა 102.3 პუნქტის შესაბამისად, დასაშვებია მითითებული სტანდარტის შესაბამისი სხვა სტანდარტის გამოყენება.*
- *ავტოსაშხეფი სისტემები ავტომატურად უნდა აქტიურდებოდეს.*
- *ავტოსაშხეფ სისტემებთან მიერთების ადგილებში გამოყენებული სახანძრო სახელოს თავაკები და ფიტინგები სახანძრო სამაშველო დანაყოფის მიერ განსაზღვრულს უნდა შეესაბამებოდეს.*

- მთელ შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება.

შენიშვნა:

- *პორტატული ცეცხლსაქრობი უნდა შეირჩეს და მოეწყოს NFPA 10-ის მოთხოვნების შესაბამისად.*
- *პორტატიული ცეცხლსაქრობები უნდა განთავსდეს შესამჩნევ ადგილებში, რათა მათთან მისვლა და დაუყოვნებლივ გამოყენება ადვილი იყოს. ასეთი ადგილებია ჩვეულებრივი სავალი ბილიკების გასწვრივ, თუ სახანძრო-სამაშველო დანაყოფი არ დაადგენს, რომ არსებული საფრთხის გამო ცეცხლსაქრობები ჩვეულებრივი სავალი ბილიკებიდან მოშორებით უნდა განთავსდეს.*
- *პორტატიული ცეცხლსაქრობები არ უნდა განთავსდეს ძნელად დასანახ ადგილებში. თუ ოთახებში ან ფართობებზე პორტატიული ცეცხლსაქრობების დანახვას რაიმე აბრკოლებს, უნდა არსებობდეს სპეციალური მინიშნებები, რომლებიც ცეცხლსაქრობების მდებარეობაზე მიუთითებს.*
- *ხელში დასაჭერი პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომლებიც არ არის მოთავსებული კარადებში, უნდა ჩამოიკიდოს საკიდებზე ან განთავსდეს ბრჯენებზე. საკიდები და ბრჯენები კარგად უნდა დამაგრდეს საყრდენ ზედაპირზე მწარმოებლის მითითებების შესაბამისად.*
- *პორტატიული ცეცხლსაქრობების განსათავსებელი კარადები არ უნდა იკეტებოდეს.*
- *პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომელთა მთლიანი წონა არ აღემატება 18 კგ-ს, ისე უნდა მოეწყოს, რომ მათი თავები არ სცდებოდეს იატაკს 1,5 მ-ზე მეტად.*
- *ხელში დასაჭერი პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომელთა მთლიანი წონა აღემატება 18 კგ-ს, ისე უნდა დააყენონ, რომ მათი თავები არ სცდებოდეს იატაკს 1,1 მ-ზე მეტად.*

- 903.3.1.1.1 ქვეთავის თანახმად, სახანძრო ტუმბოებისა და ავზის სივრცეში გათვალისწინებულია კვამლის ავტომატური აღმომჩენი.
- ***შენიშვნა:*** *სახანძრო ტუმბოებთან დაკავშირებით დაცულ უნდა იქნეს 913 ქვეთავის მოთხოვნები. მათი განთავსება უნდა მოხდეს NFPA 72-ის შესაბამისად. სისტემები უნდა დაყენდეს 907 ქვეთავის და NFPA 72-ის შესაბამისად.*

- 907.2.9.1 ქვეთავის მიხედვით საჭირო სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას, რომლის კოლოფები 907.4.2.1 ქვეთავის თანახმად განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60მ-ს არ აღემატება;
- საჯარო და საერთო გამოყენების ფართობებზე, განთავსებულია მხედველობითი განგაშის მოწყობილობები, რაც შეესაბამება 907.5.2.3.1 პუნქტის მოთხოვნას.
- ფართობებზე, რომლებიც მუდმივად არ იქნება დაკავებული, განთავსებულია კვამლაღმომჩენები, რაც შეესაბამება 907.4.1 პუნქტის მოთხოვნას.

ხანძრისგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

11. ლიფტებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- შენობაში გათვალისწინებულია 1 ლიფტი, რომელიც აკავშირებს 2 სართულს.
- ლიფტის შახტის შემომზღუდავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეს, რაც შეესაბამება 1702.1 პუნქტის მოთხოვნას.
- ლიფტის შახტის შემომზღუდავის ღიობი მე-7 თავის მოთხოვნების შესაბამისად არის დაცული 60 წუთიანი ცეცხლმედეგობის კარით, რაც შეესაბამება 1702.1.1 პუნქტის მოთხოვნას.
- ლიფტის კაბინა აკმაყოფილებს ICC A117.1-ის მოთხოვნებს გაბარიტების კუთხით.
- ვინაიდან ლიფტის შახტა არ აკავშირებს სამზე მეტ სართულს, მას არ მოეთხოვება საჰაეროები კვამლისა და ცხელი აირების გასაწოვად, თანახმად 1704.1 პუნქტისა.

შენიშვნა:

- *ყველა სართულზე თითოეული ლიფტის გამოძახების სადგურთან სტანდარტული დიზაინით შესრულებული გრაფიკული ნიშანი უნდა განთავსდეს, რომელიც დამკვეთებლებს ამცნობს, რომ ხანძრისას უნდა გამოიყენონ გასასვლელის გზა-კიბეები და არა ლიფტები. ნიშანზე უნდა ეწეროს შემდეგი: „ხანძრის დროს ლიფტები არ მუშაობს. ისარგებლეთ კიბეებით“.*
- *ლიფტის მანქანა-დანადგარებისთვის განკუთვნილი სივრცები 707-ე ქვეთავის შესაბამისად აგებული ცეცხლმედეგი ზღუდეებით ან 711-ე ქვეთავის შესაბამისად აგებული თარაზული ანაწყობებით უნდა შემოიზღუდოს. ცეცხლმედეგობის ხარისხი ლიფტის შახტის შემომზღუდავის ცეცხლმედეგობის ხარისხზე ნაკლები არ უნდა იყოს.*

<u>ლიფტებითან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>

12. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა, შენობის საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე, შეესაბამება „წესების“ 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს, კერძოდ, შენობაში სვ და სქ ჯგუფებისთვის გათვალისწინებულია 2 ქალისა და 2 კაცის ტუალეტი ხელსაბანებით.
- შენობაში, პირველ სართულზე ასევე გათვალისწინებულია შშმ პირთათვის ცალკე ტუალეტი. აღნიშნულ ტუალეტში, 1.5 მ. დიამეტრის მქონე სუფთა არეალში არ ხდება არანაირი დეტალის (უნიტაზის, ნიჟარის, კარის და სხვ.) შეჭრა.
- შენობაში, გათვალისწინებულია სამომხმარებლო ნიჟარა და სასმელი წყლის დისპენსერი, რასაც თავისთავად გააჩნია წყლის დასალევი შადრევნის ფუნქცია და შეესაბამება „წესების“ მოთხოვნებს.
- ავტოსადგომისთვის **(სწ-2)** და ტექნიკური ოთახისთვის **(დს)** წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების არსებობა, 1602.1 ცხრილის მიხედვით, საჭირო არ არის და არც პროექტით არის გათვალისწინებული.

<u>წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>

13. ატრიუმისადმი მოთხოვნების შეფასება:

- ვინაიდან მეორე სართულის იატაკის ფილა არ აკმაყოფილებს ანტრესოლის მოთხოვნებს, იგი განიხილება როგორც სართულის დონე. შესაბამისად საპროექტო შენობა წარმოადგენს მიწის დონის ზემოთ ორ სართულიან ობიექტს, რომელთა შორისაც გაჭრილია შვეული ღიობი. თავის მხრივ ატრიუმი წარმოადგენს შემოზღუდული გზა-კიბეების, ლიფტების, ლიფტის შახტების, მოძრავი კიბეების (ესკალატორების), მილსადენების, ელექტრო, ჰაერის კონდიცირების ან სხვა მოწყობილობების ღიობებისგან განსხვავებული, ორ ან ორზე მეტ სართულთან დამაკავშირებელ ღიობს, რომელიც ზემოდან დახურულია (გადახურულია) და არ განიმარტება, როგორც მოლი. საპროექტო შენობისადმი აუცილებლად ვრცელდება ატრიუმისადმი განსაზღვრული მოთხოვნები, რომელიც დაკმაყოფილებულია, კერძოდ:

- ავტოსაშხეფი სისტემა დამონტაჟებულია მთელ შენობაში, რაც აკმაყოფილებს 404.3 პუნქტის მოთხოვნას.
- თანახმად 404.4 პუნქტისა, შენობაში უნდა მოეწყოს სახანძრო განგაშის სისტემა, თუმცა 907.2.14 პუნქტის თანახმად, სახანძრო განგაშის სისტემა სავალდებულოა მხოლოდ ორზე მეტი სართულის დამაკავშირებელ ატრიუმებში, ასეთი ტიპის ატრიუმი კი საპროექტო დოკუმენტაციით არ არის გათვალისწინებული.
- ატრიუმისათვის არ არის გათვალისწინებული კვამლის საკონსტროლო სისტემა, რაც დასაშვებია 404.5 პუნქტის გამონაკლისით.
- ატრიუმის სივრცე მომიჯნავე სივრცეებისაგან გამიჯნულია ერთსაათიანი ცეცხლმედეგობის ზღუდეებითა და თარაზული ანაწყობებით, თანახამდა 404.6 პუნქტისა.

შენიშვნა-რეკომენდაციები:

- *ატრიუმის იატაკი უნდა მოეწყოს, სახანძრო თვალსაზრისით, მცირე საფრთხის შემცველი მასალებითა და დეკორაციებით.*
- *ატრიუმის კედლებისა და ჭერის შიგა მოპირკეთება არ უნდა იყოს B კლასზე ნაკლები და დამცავი საშხეფების კლასი არ უნდა შემცირდეს.*

14. ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასება:

- წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს -3.00 ნიშნულზე შემოზღუდული ავტოსადგომის მოწყობას.

- ავტომობილებისა და ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ფართობებზე თითოეული იატაკის დონიდან თავისუფალი სიმაღლე არ არის 2.15 მ-ზე ნაკლები, რაც აკმაყოფილებს 406.4.1-ე პუნქტის მოთხოვნას.

- ავტოსადგომებზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომები შეესაბამება 406.9.3-ე პუნქტის მოთხოვნებს.

- შშმ პირთათვის გათვალისწინებული ავტოსადგომის რაოდენობა შესაბამისობაშია 1106.1 ცხრილთან, ხოლო გაბარიტული ზომები ICC A117.1-თან.

- წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ავტოსადგომისთვის განკუთვნილი საავტომობილო პანდუსის სიგანე შეადგენს 3.5 მეტრს. დახრის პროცენტულობა თავსა და ბოლოში, 3.50 მეტრზე, არის 10%, ხოლო შუა ნაწილში - 16%. ყოველივე ზემოაღნიშნული აკმაყოფილებს 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

- იმის გათვალისწინებით, შენობაში და გარე სივრცეში გათვალისწინებული ავტომობილის სადგომის რაოდენობა არ აღემატება 50-ს, 406.9.4.7-ე პუნქტის გამონაკლისის შესაბამისად ავტოსადგომთან მიდგომა დასაშვებია ცალმხრივი შესასვლელ/გასასვლელიანი საავტომობილო გზით, რომლის სიგანეც 406.9.4.1-ე პუნქტის მიხედვით შეადგენს 3.5 მეტრს.

- საავტომობილო გზის შიგა მოხვევის რადიუსი შეადგენს 3.5 მეტრს, რაც აკმაყოფილებს 406.9.4.2-ე პუნქტის მოთხოვნას.

- ავტოსადგომზე ავტომობილისათვის განკუთვნილი გასავლელის სიგანე (ყველა ნაწილში) აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს.

- ავტომობილისთვის განკუთვნილ თითოეულ ადგილს აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომები, რაც შეესაბამება 406.9.4.5-ე პუნქტის მოთხოვნას.

- შემოზღუდული ავტოსადგომის დონეზე გათვალისწინებულ კიბის უჯრედებს და ლიფტს გააჩნიათ დამოუკიდებელი ვესტიბიული.

შენიშვნა:

- *შემოზღუდული ავტოსადგომი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მექანიკური განიავების სისტემით.*
- *ავტოსადგომების იატაკის ზედაპირი უნდა იყოს ბეტონის ან მისი მსგავსი არაწვადი მასალის, რომელსაც არ აქვს შეწოვის უნარი.*
- *ავტომობილებისა და სხვა ავტომობილების დასაყენებლად განკუთვნილი იატაკის ფართობები დაქანებული უნდა იყოს, რომ სითხე საწრეტისკენ ან ავტომობილების მთავარი შესასვლელი გზა-კარისკენ ადვილად გადაადგილდეს.*

<u>ავტოსადგომებისადმი დაკავშირებული მოთხოვნები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.</u>

დასკვნა:

ქ. თბილისში, ხევძმარის ქუჩა #31 მიმდებარედ (ს.კ. 01.11.17.001.238) დაპროექტებული მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია “ტექნიკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

ექსპერტი: მიხეილ ბუჯიაშვილი

გაფრთხილება!

1. კონსტრუქციული, საინჟინრო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით.
2. არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე.
3. უკანონოდ ჩაითვლება შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არის.

4. სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

- სახანძრო ტუმბოები;
- განიავების და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები;
- გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად;
- სახანძრო განგაშისა და ცეცხლქრობის სისტემები.

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

1. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება.
2. „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

04.11.2019 წ.

სერტიფიკატი

№ 2017-221

გადაეცემა

მიხეილ ბუჯიაშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

ვაჟა კუხიანიძე, კურსის ხელმძღვანელი

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

2018 IBC Essentials: Building Planning

at

ABM in Richmond, Virginia

on

29 October, 2018

0.3 CEU

Mikheil Bujiashvili

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

John Gibson

Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL®

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-17990

AIA: IC9449

HSW: yes

სარეგისტრაციო № 4447

საქართველო

დიპლომი უა № 003323

მიეცა მიხეილ დიმიტრის ძე ჭუჭიაშვილს

მასზე, რომ ის 1990 წელს შევიდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

და 1996 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის სრული კურსი

არქიტექტურის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1996 წლის „15" ივლისის გადაწყვეტილებით მ. დ. ჭუჭიაშვილს მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი „23" 09 1996 წ.

МПФ Гознака. 1996.

მიხეილ ბუჯიაშვილი

პროფესია: არქიტექტორი.

დაბადების თარიღი: 1973 წელი, 27ოქტომბერი

საკონტაქტო ინფორმაცია: 899 17-42-13; ელ-ფოსტა: mishabujiashvili@gmail.com

---

განათლება:

ქ. თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი 1990-1996 წ.
არქიტექტურის ფაკულტეტი

სამუშაო სტაჟი:

1. არქიტეტურის დეპარტამენტი (წამყვანი სპეციალისტი) 1997-1999 წ.

2. ქ.თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახური (წამყვანი სპეციალისტი) 2001-2002 წ.

3. ქ.თბილისის მერიის გენერალური გეგმისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახური (მთავარი სპეციალისტი) 2002-2004 წ.

4. ქ.თბილისის მერიის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახური (მთავარი სპეციალისტი) 2004-2005 წ.

3. შ.პ.ს „აკო“ (არქიტექტორი) 2005-2007 წ.

2. შ.პ.ს „დილემა“ (არქიტექტორი) 2007-2010 წ.

3. შ.პ.ს. „ბაზისი–XXI“ (არქიტექტორი) 2011-2012 წ.

4. შ.პ.ს „პარალელი“ (არქიტექტორი) 2012-2013 წ.

5. სსიპ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახური (III და IV კლასის შენობა-ნაგებობათა სანებართვო განყოფილების უფროსი) 2013-2017 წ.

6. შ.პ.ს. „ქალაქპროექტი“ (არქიტექტორი) 2017 -

სემინარები და კურსები:

- ურბანული დაგეგმარების კურსები; კაირო, ეგვიპტე, 2005 წ.
- ურბანული დაგეგმარებისა და მენეჯმენტის კურსები; კუალა-ლუმპური, მალაიზია 2006 წ.
- RIBA-ს წარმომადგენლის, ალან ჯონსის მიერ ორგანიზებული კურსები; თბილისი, 2010 წ.

კონკურსები:
- „მცირე ქალაქის განვითარება“ ქალაქგეგმარებითი კონკურსი სერჟი პონტუაზი; საფრანგეთი, 1997 წ (სპეციალური პრემია);

- შ.პ.ს. „არტე“-სა და ქ. თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული კონკურსი თემაზე „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი“ 1997 წ. (მეორე პრემია);
- ქ. თბილისის ურბანული განვითარების კონცეფციის კონკურსში გამარჯვებული პროექტის მონაწილე (2002 წ.);
- ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ გამოცხადებული კონკურსი: ქ. თბილისში, გმირთა მოედნიდან თამარაშვილის ქუჩამდე მდ. ვერეს ხეობის ტერიტორიული მოწესრიგებისა და რეკრეაციული ზონის მოწყობის საკონკურსო პროექტის კონცეფციის კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორი, 2006 წ.

სამუშაო გამოცდილება:

1. ქეთევან წამებულის გამზირზე, სასტუმრო მეტეხის მოპირდაპირედ კვარტალის რეკონსტუქციის პროექტი;

2. „ძველი ქალაქი დღეს და ხვალ“. პროექტი დაფინანსებულია ფონდი: „ღია საზოგადოება-საქართველო“-ს მიერ;

3. მელიქიშვილის გამზირის მიმდებარე კვარტალის რეკონსტრუქციის პროექტი;

4. ქ. თბილისის ცენტრალური ნაწილის უფლებრივი ზონირების დამოუკიდებელი სავალდებულო რუკა, ვერა-ვაკის უბნების ჩათვლით. ქ.თბილისის და ქ. ზაარბრიუკენის მერიების ერთობლივი პროექტის „მიწის მენეჯმენტი“-ს ფარგლებში, მიმდინარე, G.T.Z. –ის დაფინანსებით.

დაპროექტებული და მშენებარე ობიექტები:
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქეთვან წამებულის გამზირზე, ნიკოლაძის ქუჩაზე, შატბერაშვილის ქუცაზე, ინგოროყვას ქუჩაზე, საოფისე შენობები ყაზბეგის 34, გოთუას ქუჩაზე, ელიავას ქუჩაზე, ქურხულის ქუჩაზე. მრავალფუნქციური შენობა თ. ერისთავის ქუჩაზე. სასტუმრო ქობულეთში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო გორში და სხვ.

უცხო ენების ცოდნა: ინგლისური, რუსული.

კომპიუტერული პროგრამები: AutoCad, ArchiCad, ArcGis, 3dMAX, Photoshop, Corel, MS Word.

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

2018 IBC Essentials: Means of Egress & Fire Protection

at

ABM in Richmond, Virginia

on

29 October, 2018

0.3 CEU

Mikheil Bujiashvili

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

John Gibson

Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL® LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-17999

AIA: IC9419

HSW: yes